N 138 03/05/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 6

დ. ჩოხატაური **19 აპრილი, 2019 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, შალვა ჩანტლაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: აკაკი ყაჭეიშვილი, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, კლოდი მდინარაძე, მაია გიორგაძე, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ირაკლი კუჭავა- მუნიციპალიტეტის მერი.

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვალერი ყაჭეიშვილი- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის უფროსი სპეციალისტი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა: მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის და განყოფილებების უფროსები, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში- ანა თავართქილაძე, მარიტა მახარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 135.20 კვ.მ. უძრავი ქონების (ფართი) (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.349.01.500) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ პირველი კვარტალი უკვე დასრულდა და ალბათ ინფრასტრუქტურული პროექტებიცაა დასრულებული. თანხაც გადახდილი იქნება, რაც ასახული უნდა იყოს ბიუჯეტში. მაინტერესებს, რატომ არ არის წარმოდგენილი დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი, როცა კვატალი დასრულდა და ნაშთები ბიუჯეტში არ არის ასახული.

ზაალ მამალაძე- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს ბიუჯეტის შესრულების კვარტლურ მიმოხილვას წარუდგენს კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, რომელიც ჯერ წარმოდგენილი არაა. წარმოდგენის შემთხვევაში საკითხი განსახილველად შემოტანილი იქნება უახლოეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 135.20 კვ.მ. უძრავი ქონების (ფართი) (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.349.01.500) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

აზრი გამოთქვა:

ირაკლი ახობაძე- მაინტერესებს, მთავრობის მიერ დადგენილი ფორმულის შესაბამისად, რა რაოდენობის საშტატო ერთეული უნდა გვქონდეს მუნიციპალიტეტში და დღეის მდგომარეობით რამდენია?

თეა უჯმაჯურიძე-145 არის მერიის და საკრებულოს აპარატი თანამშრომლები ერთად. დღეის მდგომარეობითაც 145 საშტატო ერთეულია ფორმულის გაანგარიშებაში, მასში არ შედის პოლიტიკური თანამდებობის პირები- მერი და მერის მოადგილეები. ეს სამი შტატი შესაბამისად დაემატება და ფორმულის მიხედვით ვჯდებით 145 საშტატო ერთეულში, მაგრამ რაოდენობრივად იქნება 148.

ირაკლი ახობაძე- 2018 წელში რაც იყო ხელფასი დამტკიცებული ის უნდა იყოს დღეის მდგომარეობითაც. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს ემატება ხელფასი, ასევე სამი შტატის დამატება ბახმაროსთვის იწვევს ფინანსურ სხვაობას,მე მხარს ვუჭერ ბახმაროს განვითარებას, მაგრამ კანონის ჩარჩოებში უნდა მოვექცეთ.

მამია ბარამიძე- ბახმარო არის ამომავალი წერტილი ჩოხატაურისთვის. ბახმაროს სტატუსთან დაკავშირებით მოგეხსენებათ ჩემი პოზიცია სიტყვა,, დაბა“ მომგებიანად არ მიმაჩნია. ფაქტია, რომ ბახმაროში შტატის დამატება აუცილებელია, მაგრამ კითხვა მდგომარეობს შემდეგში: იწვევს თუ არა ეს სახელფასო ფონდის ცვლილებას? პასუხიც ცალსახად არის კი. იყო გარკვეული პერიოდი არც ა.(ა).ი.პ ,,კურორტი ბახმარო“ არ არსებობდა არც ზედამხედველობის სამსახური და ბახმაროში საქმე კეთდებოდა. ანუ ეს არის დროში აცდენილი საკითხი. უნდა მოინახოს ისეთი გზა, რომელიც არ დაგვარღვევინებს კანონს.

ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დღეს გვაქვს მდგომარეობა, როცა მთავრობამ მიიღო განკარგულება და ბახმაროს მიეცა დასახლების სტატუსი. ამის შემდეგ გახდა დაბა ბახმარო. შესაბამისად, მერი შემოდის წინადადებით 3 საშტატო ერთეულის დამატების შესახებ, (1 მერის წარმომადგენელი და 2 სპეციალისტი). ამ 3 შტატიდან როგორც ეს პროექტშია გაწერილი, ერთი გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციულო ერთეულში მერის წარმომადგენლისთვის, ხოლო დანარჩენი 2 საშტატო ერთეულიდან ერთი საშტატო ერთეული დაემატოს მერიის ზედამხედველობის, ხოლო მეორე არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს შესაბამისი სტატუსით და სამუშაო აღწერილობით. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც

გაიზრდება კონკრეტულ ვაკანსიაზე. ჩემი აზრით, აქ თანხასთან დაკავშირებით არაფერი პრობლემა არ არის. არსებობს ,,საბუჯეტო კოდექსი", რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას თანხების მუხლიდან მუხლში გადატანის. ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი პასუხისმგებელი იქნება უკანონო მშენებლობაზე, მშენებლობის მონიტორინგზე, ზედამხედველობის მონიტორინგზე და სხვა.
ბახმაროს სტატუსის შექმნამ მოგვცა ის, რომ თანხა გამოიყოფა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე რეგიონალური განვითარების ფონდიდან და სხვა ფონდებიდანაც.

ზაალ მამალაძე- წარმოდგენილ ვარიანტზე შევჯერდით კომისიების, ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" და ბიუროს სხდომაზე. გთხოვთ, შესწორებულ ვარიანტს ეყაროს კენჭი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

წინააღმდეგი _ 4

(მ. კუტუბიძე, ი.ახობაძე, ი. შათირიშვილი,მ. ბარამიძე.)

გ. ჯიქიამ არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ბექა გამდლიშვილმა, ლაშა თოლორდავამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 135.20 კვ.მ. უძრავი ქონების (ფართი) (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.349.01.500) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 135.20 კვ.მ. უძრავი ქონების (ფართი) (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.349.01.500) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა პროექტის ავტორს: ქონდა თუ არა მერიას კერძო მესაკუთრეებთან მოლაპარაკება, მეორე სართულის ქონების შეფასების და მიყიდვის თაობაზე. ვფიქრობ, დანგრევას გაყიდვა აჯობებდა.

ზვიადი მამალაძე- აღნიშნული შენობა გაყიდვით არ უნდა გაიყიდოს. ამის წინააღმდეგი ვიყავი და ვარ. დემონტაჟის შედეგად რჩება გამონთავისუფლებული მიწის ნაკვეთი, სადაც შესაძლებელი იქნება გაკეთდეს გასართობი პარკი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 135.20 კვ.მ. უძრავი ქონების (ფართი) (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.349.01.500) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

IV საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძე- ხომ არ აჯობებდა ეს ნაპირსამაგრების პროექტი სტიქიის პრევენციის სახით იმ პროექტებთან ერთად გაგზავნილიყო, რომელიც სტიქიის შედეგად გაკეთდა.

გიორგი ბერძენიშვილმა უპასუხა: ის პროექტები გაიგზავნა რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებლად. ეს პროექტები კი უნდა დაფინანსდეს მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან. ამ პროექტების მაღალმთიანი დასახლების ფონდიდან დაფინანსების შემთხვევაში, ჯამში მეტი პროექტი დაგვიფინანსდება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ, ირაკლი ახობაძემ, მამია ბარამიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 3

(მ. კუტუბიძე, ი.ახობაძე, მ. ბარამიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

საკითხის მოსმენის შემდეგ გამოცხადდა შესვენება. საკრებულოს სხდომის განახლების შემდეგ, სხდომა კითხვა- პასუხის რეჟიმში წარიმართა:

მამია ბარამიძემ აღნიშნა, რომ როდესაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვმუშაობდი, მაშინ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ასეთი დასკვნის გამო მიმართა სასამართლოს. თქვენ ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ეს დასკვნა არაობეიქტურია. მაინტერესებს, აპირებთ თუ არა გასაჩივრებას.

ირაკლი კუჭავა- რომ გადავხედეთ დასკვნას, მივხვდით, რომ გასაჩივრება არ იქნებოდა შედეგის მომტანი.იმ შემთხვევაში გავასაჩივრებდით, რომ ყოფილიყო დამძიმებული შედეგები ასახული დასკვნაში. გიდასტურებთ, რომ არ ვაპირებთ მივმართოთ სასამართლოს.

მაია კუტუბიძე- სახელმწიფო აუდიტის გვერდზე ამ დასკვნასთან დაკავშირებით წერია, რომ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგების საფუძველზე ანგარიში ექვემდებარება პროკურატურაში გადაცემას“. ბატონო

ირაკლი, თუ არ ფიქრობთ დასკვნის სასამართლოში გასაჩივრებას, მაშინ მივმართოთ შესაბამის უწყებას სათაურის გვერდიდან აღების თაობაზე.

რაც შეეხება შკითხვებს: რატომ არ დარჩა თავისუფალი ნაშთი 50,0 ათას ლარზე მეტი, საკუთარი შემოსავლებიდან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. ე.ი 2018 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით დელეგირებული უფლებამოსლების ჩათვლით 6 მილიონ 328,900 ლარის ნაცვლად შემოვიდა 7 მილიონ 606,642 ათასი ლარი. ე.ი 1 მილიონ 277,742 ლარით მეტი.

გადასახადების ნაწილში დამტკიცებული ბიუჯეტით 2018 წლის გადასახადებიდან შემოსავალი იყო 1 მილიონ 490,0 ათასი ლარი. შემდეგ, ბიუჯეტის მეხუთე ცვლილების დროს დავაზუსტეთ და დავამატეთ 573,0 ათასი ლარი, რაც გახდა 2 მილიონ 63,0 ათასი ლარი. ფაქტიურად, შემოსავალი გახდა 2 მილიონ 317,196 ლარი. ე.ი 827 ,196 ათასი ლარით მეტი შემოვიდა გადასახადების ნაწილში, ჩვენს საკუთარ შემოსავლებში. მაშინ როცა 2019 წლის პროექტს ვიხილავდით, ვიკითხეთ და გვიპასუხეთ, რომ 300,0 ათასი ლარი იქნებოდა თავისუფალი ნაშთი ამ შემოსავლებიდან. თავისუფალი ნაშთი ის თანხებია, რომელიც შეგვიძლია მივმართოთ ჩვენთვის ცნობილი 155-ე მუხლის შესაბამისად ინფრასტრუქტურაზე, არაფინანსურ აქტივზე და პროექტების შედგენაზე, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია. ვფიქრობ,რომ არასწორად არის დაგეგმილი საშემოსავლო ნაწილი ბიუჯეტის.

მოსაკრებელი წყლის რესურსების სარგებლობისთვის 2017 წელს შემოვიდა 830,0 ათასი ლარი. 2018 წლის გეგმა მილიონ 800,0 ათასი ლარია. რის საფუძველზე მიიღეთ ეს? როცა შემოვიდა 840,500 ათასი ლარი იყო ფაქტი. მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის სარგებლობისთვის 16,870 ათასი ლარი იყო 2017წელს. ფაქტიურად, შემოვიდა 100,0 ათასი ლარი, საიდან დაგეგმეთ და რის საფუძველზე.

დასუფთავების მოსაკრებელი-2017 წელს შემოვიდა 7854,0 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 35,0 ათასი ლარი 2018წელს. 8,443 ,0 ათასი ლარი შემოვიდა. თავისუფალი ნაშიდანან დარჩა 50,0 ათასი ლარი, სად წავიდა ეს თანხა?

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი თანხა გვაქვს 183,0 ათასი ლარი 3,0 ათასი ლარი სად არის ?

მაია გოგოლაძე- ეს როგორც საბიუჯეტო სახსრები ისეა ასახული შემოსავლებში ის 3,0 ათასი ლარიც. პროგრამა არ არის არცერთი, რომელიც არ დაფინანსებულა.

რეორგანიზაციის საკითხს მინდა შევეხო რაც თქვენს ანგარიშში ვერ მოვისმინე, 804,4ათასი ლარი გვაქვს დახარჯული 2017 წელს რეორგანიზაციამდე. რა გვაქვს 2018-ში- დაიხარჯა 970,990 ლარი. 2019 წლის ბიუჯეტში 976,7 ათასი ლარი გვაქვს. ამას წლის ბოლოს კიდევ დაემატება თანხა.

ირაკლი კუჭავა- ამ კითხვაზე აქვე გპასუხობთ: ფუნქციები გაეზრდებათ, ხარჯიც გაიზრდება.

არ მიმაჩნია სწორად წარმომადგენლობითი ხარჯის ასე მაქსიმალური ხარჯვა ცოტა მომჭირნეობით უნდა მოევეკიდოთ საქმეს. გაორებული ხარჯებია ელისო ბოლქვაძის ღონისძიებაზე. ა.(ა).ი.პ -დან ცალკეა ხარჯი, ბიუჯეტიდან ცალკეა გამოყოფილი.

ირაკლი კუჭავა- ელისო ბოლქვაძის ღონისძიების ხარჯი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იყო ასახული, ისევე როგორც ნოდარ დუმბაძის ფესტივალი ახალგაზრდულის მუხლში. კულტურული ღონისძიებების თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული წელი იყო, ასევე სუხიშვილების ჩამოსვლაც დიდი მოვლენა იყო.

სკოლამდელ აღზრდას რაც შეეხება, 2017 წელს მილიონ 21,0 ათასი ლარი იყო დახარჯული. 2018 წელს მილიონ 153,880 ათასი ლარი. საბავშვო ბაღის ბავშვთა და ბაღების რაოდენობა ფაქტიურად 2017 და 2018 წელში თანაბარი. რამდენიმე საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებდა. ხელფასები კი გაიცემოდა ისე, რომ არ მომხდარა თანამშრომლების დასაქმება სხვა საბავშო ბაღში მორიგე თანამშრომლებად.

ირაკლი კუჭავა- იდეაში არ ფუნქციონირებს ეს ბაღები. გასაგებია თქვენი მოსაზრება, მაგრამ ჩვენს პედაგოგებს, რომლებსაც ისედაც არ აქვთ დიდი ხელფასი, რამდენიმე თვე ხელფას ვერ წავართმევდით.

ვალდებულებების მუხლში (საგარანტიო წერილის საფუძველზე გაცემული) გვაქვს ინფორმაცია, რომ 11,0 ათასი ლარი უნდა იყოს დაახლოებით 2017 წელს გაცემულია დაპირებებიც. 2018 წლის პირველ ნაწილში იქნა თანხები გახარჯული და არ არის ბიუჯეტში ასახული. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ეს არის მიმდინარე გადასახადები და თუ თანხა არ არის ამ მუხლში და ვერ გავცემთ საგარანტიოს ის ვალდებულებებში არ უნდა აისახოს ? საფუძველი არის ძველი, გაცემული კი ახალი და შესაბამისობაშია მოსაყვანი.

მაია გოგოლაძე: გადასახადებთან დაკავშირებით გიპასუხებთ, რომ ქონების საშემოსავლო გადასახადებს გვიგეგმავს ფინანსთა სამინისტრო, ამ შემთხვევაში გადასახადები იყო განსაზღვრული ფინანასათა სამინისტროს მიერ და ქონების გადასახადი იყო 1 მილიონ 150,0 ათასი ლარი. 2018 წლის ბიუჯეტი როცა დავგეგმეთ, არ იყო იქ |დაგეგმილი

ხელფასების მატება, 435,0 ლარი მარტო მერიის თანამშრომლების ხელფასი იყო, ამას დაემატა კიდევ საკრებულოს ფრაქციის მოადგილეების ხელფასი, რომელმაც შეადგინა 120,0 ათასი ლარი და ასეთი მიმდინარე გაუთვალისწინებელი ხარჯები დაემატა კიდევ. ამის შემდეგ შევიდა ბიუჯეტში ცვლილება, გავზარდეთ სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებისათვის მოსაკრებელი და გახდა მილიონ 800,0 ათასი ლარი. ვიცოდით, რომ ეს შემოსავალი არ შემოვიდოდა და შეთანხმებული იყოს ეს საკითხი ფინანსთა სამინისტროსთან.

ირაკლი კუჭავა- გვაქვს საბიუჯეტო კალენდარი რომლის მიხედვითაც ვმუშაობთ და ბიუჯეტის დამუშავების პროცესში ჩავერთოთ ბიუჯეტის დაგეგმის დროს, მოგიწოდებთ ოპოზიციურ ფრაქციებს და ამდენი შენიშვნებიც აღარ იქნება.

მამია ბარამიძე- ჩოხატაურში არ დავაფუძვნებდი შ.პ.ს ,, აგრარულ ბაზარს“ იცით თქვენ ჩემი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, მაშინაც გითხარით და თქვენი პირობა იყო ასეთი, რომ შპს ,,აგრარული ბაზარი“ თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პერიოდში ირჩენს თავის თავს და მომსახურებას გაუწევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. მივიღეთ რეალურად რა? არაფერს ვამბობ მაწანწალა ძაღლებზე, უპატრონო საქონლებზე და ღორებზე, რომლებიც ,,დასეირნობენ“ ბაზრის ტერიტორიაზე. თქვენს ადგილას გავყიდიდი ამ ბაზარს თავის დროზე. დღეს უკვე ის ფასი აღარ აქვს რაც შეიძლება წინა წლეებში ქონოდა, ახლა ისევ ვამატებთ 120,455 ათას ლარს.

ირაკლი კუჭავა - ბაზრის არ გაყიდვა აბსოლუტურად გამართლებული თემა იყო და დღემდე ასეა, ბაზარი რომ გაგვეყიდა ძალიან ცუდ მდგომარეობას მივიღებდით. უკონტროლო და მოუწესრიგებელი დარჩებოდა ის ტერიტორია. ჯერ კიდევ რჩება გარე ვაჭრობის თემა. თქვენ აღნიშნეთ, რომ ფული იხარჯებაო ეს არის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა და თუ ფული არ დავხარჯერთ შპს ვერ გააკეთებს ამ ყველაფერს. არ აქვს ამხელა შემოსავალი. თავის თავს ბაზარი ახლაც ირჩენს. დღეს მე ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ ბაზარი გაიყიდოს.

ირაკლი ახობაძე- როცა 2018 წლის ბიუჯეტს ვამტკიცებდით ხელთ მაქვს 2017 წლის 28 დეკემბრის N22 საკრებულოს სხდომის ოქმი, სადაც გისვამთ კითხვას: გასულ წელს ჩვენ მივიღეთ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდი ტექნიკა. 2018 წელში ვალდებულება გვაქვს თუ არა აღებული თანხის გადახდის და იწყება თუ არა ამ თანხის

გადახდა და თქვენ მიპასუხეთ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდი ტექნიკის თანხის გადახდის ვალდებულება წელს არ გვაქვს აღებული; დღეის მდგომარეობით რა ხდება?

თამაზ ჯინჭარაძე- გადასახდელი იყო და გადავიხადეთ 2018 წელში 2019 ის ნაცვლად. რა დაირღვა ამით? ჩავთვალეთ ვალდებულად და გადავიხადეთ.

ირაკლი კუჭავა- მართლაც არ ვგეგმავდით 2018 წელში გადახდას მე გიდასტურებთ საოქმო ჩანაწერის სისწორეს, შეგვეძლო არ გადაგვეხადა ეს თანხა მაგრამ არ ვთქვით უარი.

ირაკლი ახობაძე- 2015წლის 12 აგვისტოს N9 სხდომის ოქმში ვამბობ, რომ: თქვენ თვლით შპს ,,ვექტორის" მიერ შესრულებული სამუშაოები, რომელიც დაახლოებით 37 მილიონ ლარამდეა , სააგენტოს ვებ. გვერდზე კი ვკითხულობთ, რომ მას შესრულებული აქვს 44 ათასი ლარის სამუშაოები. თქვენ მიპასუხეთ, რომ შპს ,,ვექტორის" მიერ შესრულებული იქნა 1 780 000 ლარის სამუშაო.

ვლადიმერ გოგიბერიძე- ტენდერზე შემოვიდა შპს ,,ვექტორი" და წარმოადგინა სრული დოკუმენტაცია თავისი ბეჭდით და დაზუსტებული ინფორმაციით, ჩევნი ვალდებულება არ იყო ამ ყველაფრის მოძიება ამ შპს-სთან დაკავშირებით.

ირაკლი ახობაძე - სტიქიას რაც შეეხება 2016 წლის 21 სექრტემბრის N11 სხდომის ოქმის ჩანაწერების მიხედვით დაგისვით შეკითხვა 110 სოციალურად დაუცველ ფენას დავეხმარეთ სახურავით. ვსვამ კითხვას: ვინ გადახურავს ამ სახლის სახურავებს? მოგეხსენებათ, ისინი არიან სოციალურად დაუცველები. მათ არ გააჩნიათ ამის თანხა. ამის შემდეგ, რაიმე ღონისძიება ჩავატარეთ?

ირაკლი კუჭავა- გადავუხურეთ სახლები რამდენიმე ოჯახს, უნგიაძეების ოჯახს ჯვარცხმაში, ირემაძეების ოჯახს ქვენობანში და სხვებს. ამ გზით უნდა ვიაროთ მე ვთვლი. ჩვენ მივუბრუნდით იმ 110 ადამიანს, ზოგმა მაშინ გადახურა სახლი, როცა მივეცით გადასახური ხის მასალა.

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

VII საკითხი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მოისმინეს:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ, ირაკლი ახობაძემ, მამია ბარამიძემ.

მიღებულია განკარგულება: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

ოქმს თან ერთვის:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ, მერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია რეკომენდაციებზე რეაგირების შესახებ. განხილული შედეგები წერილობით ეცნობოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა